ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ისტორია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**ისტორია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში** **BA in History**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; • დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2021 წელს. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამა განახლებადია ყოველ სასწავლო წლის დაწყებამდე
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფესორი ბეჟან ჯავახია, ასოცირებული პროფესორი მანანა ჯავახიშვილი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

ისტორიის პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება:

- საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის შესახებ ფართო ცოდნა;
- ისტორიული მოვლენების კრიტიკულ შეფასების, მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი წარსულის რეკონსტრუქციისა და ხელახალი გააზრების მიზნით;
- საბაზო კვლევითი, მათ შორის პირველად და მეორად წყაროებთან მუშაობის უნარი, რათა განსაზღვროს აქტუალური კითხვა და უპასუხოს მას შესწავლილი მეთოდების გამოყენებით;
- საკუთარი არგუმენტებისა და მოსაზრებების ეფექტური წერილობითი და კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიები გამოყენებით.

ამის გარდა, პროგრამა სტუდენტს უვითარებს დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის მნიშვნელოვან ტრანსფერულ უნარებს, როგორც არის ინდივიდუალურად და ჯგუფში მუშაობის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის და კრიტიკული ანალიზის უნარი, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს ფართო ცოდნას საქართველოსა და მისი ცალკეული ეპოქების, მსოფლიოს ისტორიისა და ცივილიზაციების განვითარების ეტაპების შესახებ;
2. შეუძლია წარსულის სხვადასხვა პერსპექტივისა და ინტერპრეტაციის იდენტიფიცირება, რელევანტური შეფასება და განხილვა მომიჯნავე დისციპლინების (მაგ.ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული,სოციალური, ეკონომიკური და სხვა) კონტექსტის გათვალისწინებით;
3. ისტორიის შესწავლისას, შედარებითი მიდგომით შეუძლია ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა ეპოქების ხალხები და კულტურები;
4. აქტუალური ისტორიოგრაფიული პრობლემის/საკითხის შესწავლის მიზნით შეუძლია დასვას საკვლევი კითხვა და უპასუხოს მას რელევანტური თეორიების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
5. შეუძლია წარსულის რეკონსტრუქციის მიზნით მოიძიოს პირველადი ან/და მეორეული ისტორიული წყაროები და მოახდინოს მათი კრიტიკული ანალიზი და სინთეზი;
6. შეუძლია საკუთარი მოსაზრებების და არგუმენტების მკაფიოდ და თანმიმდევრულად გადმოცემა ზეპირად და წერილობით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან აკადემიური

კეთილსინდისიერების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

7. ისტორიული მოვლენების შეფასებისას იცავს ეთიკურ ნორმებს, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით; პატივს ცემს ცალკეულ ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებსა და კულტურას, როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს;
8. შეუძლია იმუშაოს ინდივიდუალურად და ჯგუფში, სწავლის პროცესში მოიძიოს და გამოიყენოს სხვადასხვა რესურსი საკუთარი ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

- **თავისუფალი კომპონენტი:** ზოგადი მოდული -60 კრედიტი
- **ძირითადი სწავლის სფერო** - 120 კრედიტი
- **დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი** - 60 კრედიტი

ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა-6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO - 12 კრედიტი:

ძირითადი სწავლის სფერო -120 კრედიტი:

- ისტორიის პროგრამის სავალდებულო კურსები კოდით HUMHISTGEN-48 კრედიტი
- ისტორიის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით 0/HUMHIST/0-54 კრედიტი
- ისტორიის პროგრამის არჩევითი კურსები კოდით 0/0/HUMHIST-18 კრედიტი

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

სწავლების მეთოდები

- ლექცია/სემინარი
- პრაქტიკული მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზი/სინთეზი;
- პროექტი;
- ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდებით, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- მუზეუმები, არქივები;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები;
- ტურიზმის სფეროს ორგანიზაციები;
- შესაბამისი პროფილის საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორი;
- კულტურის სამინისტრო, რეგიონული და მუნიციპალური განყოფილებები;
- კულტურული პროექტები;

კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე-მაგისტრატურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა);
- ტექსტური, ვიდეო-აუდიო საცავი;
- არგუსი; Turnitin და E-learning;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- ისტორიკოსთა კლუბი.